შიდა პოლიტიკა

1. კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა: *როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციის და სახელმწიფო მოწყობის მიმართ? აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას?*

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა მმართველობის სისტემა, რომელშიც მთლიანად დარღვეულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. შემცირდა მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზი და არ არსებობს მათი აუცილებელი კარიერული წინსვლის პრინციპი; პოლიტიზებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭო. პარლამენტის არჩევნების სისტემა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კონსტიტუცია არაფერს ამბობს პროკურატურის ფუნქციასა და უფლებამოსილებაზე, რამაც გამოიწვია მისი უკიდურესად პოლიტიზება და ხელისუფლების რეპრესიულ აპარატად გადაქცევა.

გაუქმდა სამხედრო ძალების, პოლიციისა და სახელმწიფო უშიშროების უწყებათა გაერთიანების აკრძალვა, რამაც გამოიწვია ძალის მეტად სახიფათო კონცენტრაცია. განსაზღვრული არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა.

ჩვენი პროგრამით გათვალისწინებულია:

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური უზრუნველყოფის გაძლიერება;
“ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საპარლამენტო მმართველობას. ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილება კონსტიტუციური მოწყობის თაობაზე მიღებული იქნება ფართო სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყველა გონივრული მოსაზრება და ინტერესი;
საპარლამენტო ოპოზიციის მნიშვნელობის გაზრდა – მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პეტიციის კომიტეტების თავმჯდომარეები, ისევე, როგორც დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე და წევრთა ნახევარზე მეტი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები უნდა იყვნენ;
პარლამენტის არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემის შემოღება;
მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის გაზრდა და მათი კარიერული წინსვლის პრინციპის დაწესება;
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ისეთი წესის შემოღება, რომელიც გამორიცხავს მის პოლიტიზებას;
საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოება და კონსტიტუციურ სარჩელთა განხილვის ვადების შემცირება;
იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის გამარტივება;
პროკურატურის ფუნქციისა და ადგილის კონსტიტუციით იმგვარად განსაზღვრა, რომ იგი იქცეს დამოუკიდებელ, არაპოლიტიზებულ სამართალდაცვის ორგანოდ;

იმ უწყებათა შერწყმის ან სხვაგვარი გაერთიანების აკრძალვა, რომლებიც პასუხისმგებელია სამხედრო ძალებზე, სახელმწიფო უშიშროებასა და პოლიციაზე;
სახალხო დამცველის დამოუკიდებლობის გაზრდა და პარლამენტის დავალდებულება, შეაფასოს მისი რეკომენდაციების განხორციელების მიზანშეწონილობა;
ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემისა და სხვადასხვა დონის ორგანოთა უფლებამოსილებების განსაზღვრა სუბსიდირების პრინციპის დაცვით;
კონსტიტუციის სტაბილურობის უზრუნველყოფა – არსებითად უნდა გართულდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წესი.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლების სტრატეგია მიზნად ისახავს ინდივიდისთვის ცოდნის დაუფლებისა და უნარების გამომუშავების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

მოხდება განათლების სისტემის დეპოლიტიზება. განათლების სისტემა დაეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს, გათავისუფლდება ავტორიტარული მმართველობისა და პირად ერთგულებაზე დამყარებული მართვის პრინციპებისგან; უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის მაღალი ხარისხი. შეიცვლება მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი - მანდატური დაიცავს სკოლის უსაფრთხოებას, როგორც სკოლის თანამშრომელი. აღიკვეთება სტუდენტურ თვითმმართველობაზე ზემოქმედების მექანიზმები, რომლებიც პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას ისახავს მიზანს.

შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები. განათლების სისტემის მართვა დაეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვას. განისაზღვრება და გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის როლი განათლების სფეროში. უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლების დაცვა. კანონით დადგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური, აკადემიური და/ან სამეცნიერო გამოცდილება. განხორციელდება განათლების სისტემის მიუკერძოებელი ყოველწლიური მონიტორინგი და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტების საჯაროობა.

შეიქმნება განათლების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები. გაიზრდება განათლების ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მნიშვნელოვნად მოიმატებს პედაგოგთა შრომის ანაზღაურება, ამაღლდება მათი სოციალური სტატუსი და გაიზრდება მათი პრესტიჟი. განათლების დაფინანსების „ვაუჩერული“ წესი შეიცვლება საბაზო დაფინანსების გამჭვირვალე წესით.

გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. თითოეულ მოქალაქეს ექნება განათლების მიღების თანაბარი შანსი. სოფლებისა და ქალაქებისთვის დაწესდება სკოლის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის სტანდარტები. სტუდენტებისთვის შემუშავდება გრძელვადიანი

დაკრედიტების, მიზანმიმართული სოციალური დახმარებისა და განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის სხვა მექანიზმები.

ამაღლდება განათლების ხარისხი. განათლების ხარისხი იქნება საგანმანათლებლო დარგში ქართული ისტორიული გამოცდილებისა და დასავლური სტანდარტების შესაბამისი. შემუშავდება და მოქმედებას დაიწყებს განათლების ხარისხის შეფასების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, პრესტიჟისა და ნდობის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმები. ავტორიზაცია/აკრედიტაციისას გამოყენებული იქნება საჭირო გაზომვადი და ობიექტური ინდიკატორები. არსებითად გადაისინჯება ეროვნული სასწავლო გეგმა. სკოლას დაუბრუნდება აღმზრდელობითი ფუნქცია. გაუქმდება პირველივე კლასიდან უცხოური ენისა და კომპიუტერის სწავლება, აგრეთვე, სწავლება კომპიუტერის მეშვეობით.

ამაღლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი. შეიქმნება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშემწყობი ეფექტიანი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები. განხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეცნიერო საქმიანობის საბაზო დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა.

*3. **დასაქმება:** რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?*

ჩვენ მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკა ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის, შრომის თავისუფლებისა და ღირსეული საარსებო პირობების შექმნის პრინციპებს.

ამ პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში თითოეულ ადამიანს გაუჩნდება შესაძლებლობა:

- მოძებნოს თავისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილი და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია;
- მიიღოს დამატებითი შემოსავლები და გაიუმჯობესოს სოციალური მდგომარეობა.

შედეგად:

- შემცირდება მოსახლეობის მასობრივი გასვლა საზღვარგარეთ;
- შემცირდება სოციალური გაჭირვების ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი და ოჯახური კონფლიქტები;
- გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.

სამუშაო ადგილების შესაქმნელად მნიშვნელოვანია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება და ინვესტიციები იმ სფეროებში, რომლებშიც უნდა შეიქმნას სამუშაო ძალის მოთხოვნა. ჩვენი ხედვები ორიენტირებულია ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა სამუშაო ძალა გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნებისა და ინოვაციური განვითარების შესაბამისი.

დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის რეალურ განვითარებას. ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის, მასთან დაკავშირებული გადამმუშავებელი დარგების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ამ მიზნით ჩამოყალიბდება საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი. მნიშვნელოვანი ამოცანაა შრომის ბაზრის სტრუქტურაში დაქირავებით მომუშავეთა რიცხვის განუხრელი ზრდა, აგრეთვე, თვითდასაქმებულთა წილის შემცირება ცალკეულ სექტორებში (ძირითადად, აგრარული სექტორი) კოოპერაციის, კომერციალიზაციის დონის ზრდისა და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებისთვის საჭიროა:

- ახალი შრომის კანონმდებლობის შემუშავება და მიღება;
- შრომის კანონმდებლობის რეფორმირება ეკონომიკაში შრომითი რესურსების ეფექტიანი განთავსებისა და გამოყენებისთვის დასაქმებულთა ძირითადი უფლებების მკაცრად დაცვით (შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება, სამუშაოდან დაუსაბუთებელი დათხოვნისგან დაცვის უფლება, გაფიცვის უფლება და სხვ.);
- უმუშევართა აღრიცხვის საინფორმაციო ბანკის შექმნა იმისათვის, რომ მოხდეს მათი გადამზადება და შესაბამისი სამუშაოს შეთავაზება;
- სახელმწიფოს მხრიდან უმუშევრების მხარდამჭერი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა;
- სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა.

4. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხარისხის ამაღლებისა და მისი ხელმისაწვდომობისთვის?*

საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით.

ეს პაკეტი უზრუნველყოფს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ფინანსური რისკებისგან დაცვას, დაავადებათა პრევენციასა და გადაუდებელ მკურნალობას.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების გაუმჯობესებისთვის შემოღებული იქნება მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმები. შეიქმნება არასახელმწიფო არამომგებიანი ინსტიტუტი, რომელიც მოახდენს თანხების ადმინისტრირებას, მიმწოდებლების (ექიმები, საავადმყოფოები) შერჩევას და დაფინანსებას. მისი საბჭო დაკომპლექტდება სახელმწიფოს, პაციენტების, ექიმების, სადაზღვევო და არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის, პროფკავშირების) წარმომადგენლებისგან.

კერძო სადაზღვევო კომპანიები ჩაბმული იქნება დამატებითი, ბაზისური კალათით გათვალისწინებულზე მეტი მომსახურების გაწევაში. საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო ჰოსპიტლებით.

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ და დაფინანსებულ ბაზისური სარგებლის კალათში შევა სხვადასხვა მომსახურება, რომელიც სრულად დაფინანსდება ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით:

- ამბულატორიული მომსახურება (ოჯახის/სოფლის ექიმი და სპეციალისტები);
- მოსახლეობის პროფილაქტიკური გამოკვლევები (სკრინინგი) და იმუნიზაცია (აცრა);
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- ჰოსპიტალური მომსახურება (მათ შორის, გულის სისხლძარღვთა სტენტირება, შუნტირება);
- ორსულთა მოვლა და მშობიარობა;
- უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (მათ შორის, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია);
- გადაუდებელი სტომატოლოგია;
- მედიკამენტები - პირველადი მოხმარების (ესენციური) მედიკამენტები 50%-იანი ფასდაკლებით.

ამასთან ერთად, გაგრძელდება ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება, კერძოდ :

- დიაბეტის პროგრამა (დაფინანსება გაორმაგდება ბიუჯეტიდან);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა (დაფინანსება გაორმაგდება ბიუჯეტიდან);
- ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) დახმარების პროგრამა (დაფინანსება გაორმაგდება ბიუჯეტიდან);
- უსაფრთხო სისხლის პროგრამა (დაფინანსება გაორმაგდება ბიუჯეტიდან);
- ტუბერკულოზის პროგრამა;
- აივ ინფექციის/შიდსის პროგრამა;
- დიალიზისა და თირკმლის გადანერგვის პროგრამა;
- ნარკომანიის პროგრამა;
- ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის პროგრამა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა;
- იშვიათი დაავადების მქონე ავადმყოფთა მკურნალობის პროგრამა;
- პროფესიულ დაავადებათა პრევენციის პროგრამა;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და კვლევების ხელშეწყობის პროგრამა.

5. სოციალური უსაფრთხოება: რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლითაც პენსიის მიღების საფუძველი იქნება მოქალაქის საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები. საქართველოში ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის უნიფიცირებულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ახალი სისტემა, რომლის მეშვეობითაც თანდათანობით გავხდებით ევროპის სოციალური სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ახალი სისტემის საფუძველია მსოფლიოში აღიარებული ისეთი პრინციპები, როგორიცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ იღებს ვალდებულებას, რომ ყველა კატეგორიის პენსიონერი მიიღებს პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, რაც შესაბამისი კანონით იქნება გარანტირებული.

საპენსიო სისტემის ძირეულად გარდაქმნა, რაც ითვალისწინებს დაგროვებით პრინციპზე გადასვლას, დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს კერძო საპენსიო ინსტიტუტები შეასრულებს. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე. სახელმწიფოს ექნება გამოკვეთილი მარეგულირებელი ფუნქცია, რაც უზრუნველყოფს სისტემის სტაბილურობას. გარდა ამისა, არასრული სტაჟისა და არასაკმარისი სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაენიშნებათ (ან შეევსებათ) სოციალური პენსია.

საარსებო მინიმუმს გაუტოლდება სახელმწიფო შრომითი (ასაკით) პენსია, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მარჩენალდაკარგულთა, აგრეთვე, პოლიტრეპრესირებულთა, ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტის სახელმწიფო პენსია; აღმოიფხვრება დისკრიმინაცია, რომელიც არსებობს 2005 წელს ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფაში.

სოციალური დაცვის პრიორიტეტულ სფეროებად განვიხილავთ, აგრეთვე, სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით და სოციალურ მომსახურებას.

გაორმაგდება სოციალური დახმარების ოდენობა უკიდურესად გაჭირვებულთათვის. გაიზრდება, აგრეთვე, დახმარების მიმღებთა რაოდენობა. სოციალური დახმარების სისტემა იქნება უნიფიცირებული ქვეყნის მასშტაბით. ამასთან, სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის შეფასების, მათი მომსახურებისა და ადმინისტრირების ფუნქცია მუნიციპალურ ორგანოებს ექნებათ დელეგირებული.

სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები - მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე, სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები. ასეთი დაწესებულებების დაფინანსებისა და ადმინისტრირების ფუნქცია გადაეცემა რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას.

6. ეკონომიკა: *როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?*

ჩვენ ვაღიარებთ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს; ჩვენი სტრატეგია ემყარება თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც გამოკვეთს სახელმწიფოს როლს მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა:

- ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნოს მდგრადი განვითარების მოდელს;
- სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში საკვანძო როლი მიენიჭოს სახელმწიფოს, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის განვითარების სტრატეგია, მისი უმთავრესი მიზნები და ინდიკატორები;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა;
- მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება, რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც დაემყარება ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გამოყენებას;
- მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქციით და ექსპორტის სტიმულირება.

ჩვენი პოლიტიკის შედეგად:

- სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სტაბილურ შემოსავალს, აგრეთვე, სასურსათო უსაფრთხოებასა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას;
- მცირე ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, უმუშევრობის შემცირებას, სიღარიბის დაძლევასა და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას;
- ბაზარი გათავისუფლდება მონოპოლიებისგან, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ მეწარმეობას და პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე არარეალურად მაღალი ფასების დაწესებით ითვისებენ შინამეურნეობების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს.

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ჩვენეული ხედვის თანახმად:

- უნდა გაივლოს მკვეთრი ზღვარი ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის და მოხდეს მათი ფუნქციების რეალურად გამიჯვნა;
- საჯარო სექტორი უნდა იყოს მინიმალური, მაგრამ – ადეკვატური და ეფექტიანი მისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას;
- ხელისუფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს კერძო სექტორისა და ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებას, რაც განმსაზღვრელია ადამიანების კეთილდღეობის ზრდისთვის.

სახელმწიფოს აქტიური მიზნობრივი პოლიტიკისთვის შერჩეულია შემდეგი სფეროები:

1. სოფლის მეურნეობა;
2. მცირე და საშუალო მეწარმეობა;
3. სოციალური სექტორი.

ჩვენი პოლიტიკის მიზანია, რომ მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკიდან გადავიდეთ დანაზოგებისა და კაპიტალიზაციის ზრდაზე დამყარებულ ეკონომიკაზე, რამაც განმსაზღვრელი როლი უნდა შეასრულოს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის მდგრადი განვითარების საქმეში.

*7. **ეკონომიკა:** როგორ აპირებთ ინფლაციის კონტროლს? რა მიდგომებს გამოიყენებთ ამისათვის?*

- მოვახდენთ ინფლაციის რეალური მაჩვენებლის დადგენას;
- ინფლაციის დადგენილი მაჩვენებელი დაემყარება რეალურ გათვლებს და გახდება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირი;
- ფულად-საკრედიტო რეგულირების მიზნით, ეროვნული ბანკი აქტიურად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტებს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნება მონეტარული სტაბილურობის პრინციპი და ხარჯვითი პოლიტიკა იქნება გეგმაზომიერი;
- განისაზღვრება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. ფულის მასა იქნება ეროვნული შემოსავლის ზრდის შესაბამისი;
- საქართველოს ეროვნული ბანკი გათავისუფლდება პოლიტიკური წნეხისგან, იქნება რეალურად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისას და მისი ძირითადი მიზანი იქნება ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

*8. **გადასახადები და ფისკალური პოლიტიკა:** გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.*

საბიუჯეტო რეფორმის მიმართულებები:

- საზოგადოების პრობლემების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული ქმედითი მექანიზმის შემუშავება საბიუჯეტო პრიორიტეტების დასადგენად;
- ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;
- დამტკიცებული ბიუჯეტის გამარტივებული ფორმატით გამოქვეყნება;
- ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია;
- საჯარო მოხელეების დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება და შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაქცევა საბიუჯეტო პროცესის მონაწილედ, რომლის ძირითადი საქმიანობა იქნება შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელება.

განხორციელებული რეფორმების შედეგად:

- საბიუჯეტო პრიორიტეტები დადგინდება მოსახლეობის მონაწილეობით;
- ბიუჯეტის ოპტიმიზაციით გამოთავისუფლდება სოლიდური თანხები;
- შესაძლებელი გახდება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსება;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის შემცირებით გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისთვის:

- უზრუნველვყოფთ სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული დაბეგვრის მექანიზმების არსებობას:
    - განვსაზღვრავთ საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავ მინიმუმს, რომელიც საარსებო მინიმუმის ნიშნულის დონეზე იქნება დადგენილი. შემოვიღებთ ფიზიკური პირებისთვის გამოქვითვის გონივრულ სისტემას (ჯანდაცვასთან, დაზღვევასა და პროფესიული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები);
    - მოვაწესრიგებთ მოგების გადასახადში გამოქვითვების სისტემას;
    - გადავხედავთ აქციზური საქონლის ნომენკლატურას და, ძირითადად, დაიბეგრება ფუფუნების საგნები;
    - გავაუქმებთ ქონების გადასახადში აფასების სისტემას და შევინარჩუნებთ რეალურ 1%-იან განაკვეთს;
- უზრუნველვყოფთ სტაბილურ საგადასახადო გარემოს და არ დავუშვებთ საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირ ცვლილებებს;
- მოვაწესრიგებთ საგადასახადო კანონმდებლობაში ბუნდოვან და ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემ დებულებებს, გავამარტივებთ საგადასახადო ნორმებს;
- უზრუნველვყოფთ საგადასახადო დავების განხილვაში სახელმწიფოს დომინანტური როლის შემცირებას და ადმინისტრაციულ პალატაში სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნას;
- შევამცირებთ და გონივრულ ფარგლებში მოვაქცევთ ჯარიმებსა და საურავებს საგადასახადო და ადმინისტრირების სფეროში;
- შევამცირებთ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების საფასურსა და ბაჟს;
- კანონით არ დავუშვებთ ახალმიღებული ცვლილებების მყისიერად ამოქმედებას და დავაწესებთ სულ ცოტა ორთვიან ვადას მისი მიღებიდან ამოქმედებამდე.

9. სახელმწიფო ხარჯები: *დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი გამოკვეთილი გაქვთ ასეთი პოზიცია.*

ჩვენ ვირჩევთ მცირე ზომის მთავრობის მოდელს, რომლის პირობებშიც ეკონომიკის განვითარება კერძო სექტორს და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას უნდა დაეფუძნოს.

საბიუჯეტო პოლიტიკა ხარჯების ეფექტიანობაზე იქნება ორიენტირებული. ყველა დონის ბიუჯეტის ჯამური ხარჯები იქნება მშპ-ის 30%-ის ფარგლებში.

10. სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი: *როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართებით?*

საგარეო ვალის ზრდა იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ მთავრობა ამ ფულად სახსრებს გამოიყენებს ისეთ სეგმენტებში, რომლებიც უზრუნველყოფს პირდაპირ ან ირიბ რენტაბელობას. ჩვენ არ დავუშვებთ საგარეო ვალების აღებას პოლიტიკური მიზნების ან არაგამჭვირვალე ღონისძიებების დასაფინანსებლად.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ქვეყნის საგარეო ვალის შეფასებას ახდენენ შემდეგი მეთოდოლოგიით:

- საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს. ამ ეტაპზე ეს მაჩვენებელი დაახლოებით 36%-ს შეადგენს. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ განსაზღვრული აქვს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არ გასცდება 60%-ს.
- საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შეფარდება საგარეო ვალთან აჩვენებს, შეძლებს თუ არა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურებას საკუთარი სავალუტო რეზერვების ხარჯზე. ამ შეფარდების მიხედვით, დღეს არსებული საერთაშორისო რეზერვების საშუალებით საგარეო ვალის, დაახლოებით, 65%-ის მომსახურება არის შესაძლებელი.
  მონეტარული პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ზრდისკენ;
- საგარეო ვალის დანახარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან, დაახლოებით, 3%-ს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ საგარეო ვალის მოცულობა დღევანდელ დონეზე დარჩა, აღნიშნული მაჩვენებელი არ გაიზრდება;
- საგარეო ვალის დანახარჯების შეფარდება ექსპორტთან მიმართებაში თითქმის ორჯერ აღემატება დასაშვებ საშუალო მაჩვენებელს და, დაახლოებით, 17%-ს შეადგენს.

საგარეო ვალების მომსახურებას და ახალი სესხების აღებას მკაცრად გააკონტროლებს მთავრობა და ეს პროცესები გამჭვირვალე იქნება საზოგადოებისთვის.

განვლილ წლებში სახელმწიფომ აღიარა საქართველოს მოქალაქეების მიმართ არსებული ვალდებულებები (მათ შორის, კოოპერაციული ბინათმშენებლობისა და სხვ.), როგორც სახელმწიფოს შიდა ვალი. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური დაპირებისა თუ ამ საკითხის კანონმდებლობით მოწესრიგების ცდის მიუხედავად, რაიმე სახის ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

აქედან გამომდინარე, დავიწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფოს შიდა ვალის ინვენტარიზაცია და შეიქმნას დაფარვის რეალური მექანიზმი.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, იგი არ იქნება 3%-ზე მეტი.

11. ეკონომიკა: *გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2016 წელს შესაძლებელი იქნება, შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.*

- მშპ-ის ზრდის ტემპი, მათ შორის, ერთ სულ მოსახლეზე;
- ინფლაციის დონე;
- უმუშევრობის დონე;
- კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანაფარდობა;
- დაქირავებით დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულთა შორის;
- ჯინის ინდექსი;
- სიღარიბის დონე;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება და ექსპორტის ზრდა;
- საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა;
- შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა;
- ადგილობრივი და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდა.

12. თავდაცვის პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?*
თავდაცვის სისტემის ორგანიზაცია კომპლექსური საკითხია და გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების (თავდაცვის სამინისტრო, უშიშროების საბჭო და ა.შ.) კოორდინირებულ მუშაობას. ქვეყანაში უნდა არსებობდეს თავდაცვის და, ზოგადად, უსაფრთხოების სისტემის განვითარების ერთიანი კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს შესაბამის უწყებრივ დოკუმენტებში. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია ისეთი საკითხები, როგორიცაა თავდაცვის სისტემის სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლი და უწყებებს შორის უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა. აუცილებელია სტრუქტურების კვალიფიციური, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. თავდაცვის სამინისტრო უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური წნეხისგან და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. ძალოვანი სტრუქტურების ფინანსური საქმიანობა, კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, უნდა იყოს გამჭვირვალე. საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების საკითხები. აუცილებელია, აგრეთვე, შეიქმნას სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების ხედვა და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით.

13. იძულებით გადაადგილებული პირები: *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?*

- იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების ღირსეული დაბრუნებისთვის უნდა შეიქმნას ყველა წინაპირობა, ხელსაყრელი გარემო და უსაფრთხოების გარანტიები;

- შენარჩუნებული უნდა იყოს დევნილთა ისტორიული მეხსიერება – ქართველების, აფხაზებისა და ოსების თანაცხოვრებით შეძენილი გამოცდილება, რაც მომავალში მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარი გახდება;
- უნდა შეიქმნას სოციალური ადაპტაციის გეგმა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების სრულფასოვნად მონაწილეობისთვის ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში; საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა მოხდეს დევნილთა ეკონომიკური მდგომარეობის აღწერა, რათა შემდგომში შეიქმნას მიზანმიმართული დახმარებისა და დასაქმების პროგრამები;
- დევნილთა მდგომარეობის, პრობლემების შესწავლისა და მათ მოგვარებაზე მუშაობის პროცესში საჭიროა თავად დევნილებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათვალისწინება.

14. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?*

უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ არსებობს ამ კონფლიქტების სწრაფი, ძალისმიერი (სამხედრო), ცალმხრივი გადაჭრა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი მოგვარების მომხრე ვართ. ჩვენი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს უშუალო კონტაქტებს, პირდაპირ დიალოგს, ნდობის აღდგენას და შერიგებას აფხაზებსა და ოსებთან.

აუცილებელია პირდაპირი კონტაქტების, სახალხო დიპლომატიის, ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირების მხარდაჭერა. პირველ ეტაპზე ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის სფეროებში თანამშრომლობაზე; ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ერთად შევიმუშავებთ ომით გახლეჩილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთობლივ ინფრასტრუქტურულ პროგრამებს. სწორედ ჩვენ ვიქნებით ასეთი პროგრამების ინიციატორი და ხელშემწყობი;

ამ პროცესში შესაძლებელია, გერმანიამ შეასრულოს მედიატორის როლი, აგრეთვე, კარგი იქნებოდა ვიშეგრადის ფონდის გამოყენება;

ამავე დროს, მაქსიმალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, უნდა გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრ-სახელმწიფოსთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურღვევობის საკითხთან დაკავშირებით, რათა გაგრძელდეს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა;

კონფლიქტების რეგიონებში ვითარების მონიტორინგის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამშვიდობო პროცესების აღდგენის მიზნით, გამოყენებული უნდა იყოს ყველა საერთაშორისო ფორმატი, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეისა და სპეციალიზებული სააგენტოების, ევროსაბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის ფორმატები. ამ თვალსაზრისით,

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟენევის მოლაპარაკების პროცესისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სრულფასოვანი ფუნქციონირება;

აუცილებელია თანმიმდევრული მუშაობის წარმართვა, კერძოდ, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გზით, რეგიონიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანისა და იქ საერთაშორისო დამკვირვებლების დაბრუნების მიზნით.

15. უმცირესობათა უფლებები: *რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?*

- უნდა არსებობდეს ხელისუფლების პოლიტიკური ნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმებისთვის მათი სპეციალობისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით, როგორც სახელმწიფოს მართვის ცენტრალურ აპარატში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი), ისე, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებში, რეგიონულ ერთეულებში;
- ლიდერთა ინსტიტუტის შექმნა ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლებისთვის იმ მიზნით, რომ სამომავლოდ შეიძლებოდეს მათი გამოყენება სახელმწიფოს მართვის სისტემაში;
- უფასო იურიდიული საკონსულტაციო ცენტრების გახსნა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და ტრენინგების მოწყობა უფლებათა სფეროში;
- სისტემატური ერთაშორისი კონფლიქტოლოგიური მონიტორინგი;
- ეროვნული უმცირესობების უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების გახსნის ხელშეწყობა;
- რელიგიური და საკულტო შენობების აღდგენის პროგრამების ამოქმედება;
- არაქართულენოვანი სკოლების დახურვასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა;
- მრავალენოვანი სწავლების სისტემის დანერგვა;
- ბავშვთა ინოვაციური საბავშვო ბაღების გახსნა ენების შესწავლის პროგრამით;
- ქართული ენის სწავლების ისეთი მეთოდიკის შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმზიდველი იქნება ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- სათანადო ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავებისა და შესწავლის უზრუნველსაყოფად;
- სახელმწიფო ენის შესწავლის პრიორიტეტულობის განმარტება ფართო მასებისთვის;
- ეროვნულ უმცირესობათა კულტურული განვითარების სტრატეგიის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- კულტურათშორისი კომუნიკაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- საჭირო სახსრების მოძიება თვითმოქმედი დასებისა და ანსამბლების ფუნქციონირებისთვის;
- სახსრების გამოყოფა რიტუალური და ისტორიული შენობა-ნაგებობების აღდგენა-რესტავრაციისთვის;
- ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მოვლა-პატრონობისთვის;

- რადიო- და ტელეკურსების ჩამოყალიბება ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე;
- გადაცემების სტაბილურად უზრუნველყოფა ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე;
- ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა ადგილობრივი ტელე-და რადიოსტუდიების საქმიანობისთვის;
- სახელმწიფოს აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობა ეროვნულ უმცირესობებთან კომუნიკაციების დეფიციტისა და ინფორმაციული ვაკუუმის დაძლევაში;
- ეთნიკური სათვისტომოების წარმომადგენელთა მონაწილეობა სახელმწიფო ინიციატივებში;
- ზაფხულისა და ზამთრის კურორტებზე ყველა ეროვნების ბავშვთა დასვენების უზრუნველყოფა მათ შორის შემდგომი კომუნიკაციის დამყარების მიზნით;
- სამოქალაქო პატრიოტიზმისა და პოლიტიკური ლოიალურობის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- ინტეგრაციის სამოქალაქო აქტივობის დეტონირება, ინტერესის გაღვივება.

16. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველო ბოლო ადგილზეა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გასაზრდელად.*

ქალთა მონაწილეობის გაზრდა ორი მიმართულებით უნდა მოხდეს – შიდაპარტიული და ზოგადპოლიტიკური. პირველ ასპექტს რაც შეეხება, დაფუძნდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალთა ფრთა, რომელიც მოიაზრება როგორც ქვედა და შუალედურ რგოლებში მომუშავე ქალთა რესურსის დაჯგუფებისა და გაძლიერების მექანიზმი. ქალთა ფრთის ხელმძღვანელი შეყვანილია პარტიის პოლიტიკურ საბჭოში, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა. ქალთა ფრთაში მობილიზებული რესურსიდან უნდა მოხდეს მსურველთა ჩაბმა პარტიული ორგანიზაციის ზედა რგოლებში, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პარტიისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ გზით პარტია მოკლევადიან პერსპექტივაში გადავა სასურველ მოდელზე, რომელიც საპირისპიროა მოდელისა – პარტიული აქტივისტი ქალები და გადაწყვეტილების მიმღები კაცები. რაც შეეხება ზოგადპოლიტიკურ პროცესს, კოალიცია მიზნად ისახავს, დაიცვას არსებული საკანონმდებლო წამახალისებელი ნორმა საპარლამენტო არჩევნებისთვის განკუთვნილ სიაში და თვლის რა, რომ ეს ნორმა მხოლოდ საწყისია და არავითარ შემთხვევაში არ იძლევა კმაყოფილების საფუძველს, მომავალი ეროვნული თუ ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო სიაში უფრო მეტი ქალი კანდიდატის ყოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. გარდა ამისა, განსაკუთრებული ძალისხმევა ეთმობა მაჟორიტარობის კანდიდატებად ქალთა დასახელებას და ამ კანდიდატების მაქსიმალურ ხელშეწყობას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას.

17. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისობა ევროგაერთიანების მოთხოვნებთან სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად;
- გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასებისა და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის თანამედროვე პრინციპებზე დამყარებული სისტემის შექმნა;
- მოქალაქეთა სრულად ინფორმირება გარემოსთან დაკავშირებული ვითარების თაობაზე, ასევე, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩაბმულობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;
- გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრება და გაცნობიერება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სათანადო ეროვნული პროგრამების მომზადებისა და მათი დანერგვის გზით;
- კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შესაძლებლობების გაზრდა გარემოს დაცვის და საბუნებისმეტყველო დარგებში;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- გარემოს დაცვისთვის საჭირო და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვა;
- სხვადასხვა სახეობისა და პოპულაციის მდგომარეობის კვლევა ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და რაციონალური ექსპულატაციისთვის;
- დაცულ ტერიტორიებზე არსებული ობიექტების დაცვის გაუმჯობესება, აგრეთვე, მათი ფართობის გაზრდა; ბუნების ძეგლებისა და დაცული ლანდშაფტების ინვენტარიზაცია; დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ტყეების გარემოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციების შენარჩუნების პრიორიტეტად აღიარება, მერქნული რესურსების მოპოვების შეზღუდვა და რეგულირება;
- ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა; ენერგიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების ხელშეწყობა. პროგრამების განხორციელება ენერგოეფექტიანობის გაზრდისთვის, თანამედროვე ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისი მიკრო- და მცირე ჰესების მშენებლობის მხარდაჭერა, არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია;
- გენეტიკურად მოდიფიცირებული თესლეულისა და სანერგე მასალის იმპორტის აკრძალვა. ამ ტიპის პროდუქციის მარკირება და ადგილობრივი კულტურული ჯიშების შენარჩუნება-გამოყენების ხელშეწყობა;
- ქვეყნის ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნარჩენების, ასევე, სხვა მაიონიზებელი გამოსხივების მქონე ნივთიერებების ტრანსპორტირების აკრძალვა, არსებული წყაროების გამოვლენა და უსაფრთხო განთავსება, თანამედროვე სტანდარტების სათანადო საცავის მოწყობა;
- სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და სწრაფი შეტყობინების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება მსხვერპლისა და ზიანის მაქსიმალურად შემცირება;
- სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების დაცვა-აღდგენითი ღონისძიებები;
- გამწვანებული ტერიტორიების დაცვა და გაფართოება.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

18. საგარეო პოლიტიკა: *გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და გაგვაცნოთ, რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისთვის.*

საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი განისაზღვრება საქართველოს შიდა ინტერესების გათვალისწინებით. მთავარი პრიორიტეტი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფაა. ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში გაერთიანებისკენ სწრაფვა, პირველ რიგში, გულისხმობს სახელმწიფოს დემოკრატიული მართვისა და ადამიანის უფლებათა სფეროში დამკვიდრებული ფასეულობების გაზიარებას და არასაომარი რიტორიკის გაძლიერებას. საქართველო უნდა ისწრაფოდეს საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით რუსეთთან დიალოგის დასაწყებად, რომლის მიზანი იქნება ორმხრივი და თანაზომადი კომპრომისების საფუძველზე ორმხრივ ურთიერთობებში არსებული კრიზისის დაძლევა. ქვეყნის პოლიტიკური პროფილი მიმზიდველი უნდა იყოს მშვიდობიანი ხასიათით და არა აგრესიულობით.

19. სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველო სრულად უნდა იზიარებდეს მოვალეობებს მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიმართებით, საერთაშორისო ძალისხმევაში, კერძოდ კი, ნატოს სამხედრო ოპერაციებში წვლილის შეტანა, უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი კომპონენტი და არა როგორც ნაცვალგებითი შენატანი პოლიტიკური მხარდაჭერის მისაღებად. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობებით. ქარტიაში, ისევე როგორც ევროკავშირთან თანამშრომლობის შეთანხმებებში, დასახული ამოცანების შესრულებას საქართველო, პირველ რიგში, უნდა განიხილავდეს როგორც ვალდებულებას საკუთარი საზოგადოების წინაშე.

20. რეგიონული თანამშრომლობა: *რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

საქართველოს უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, დაუშვებლად მიგვაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის, როგორც რუსეთთან დაპირისპირების გაღრმავების ფაქტორის, გამოყენება. ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ურთიერთობის გაღრმავება მეზობელ აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, ირანთან. პოლიტიკურ პოზიციათა განსხვავების მიუხედავად, რეგიონისთვის საქართველო უნდა იქცეს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ბიზნესშესაძლებლობების რეალიზაციის პლატფორმად. მრავალმხრივი დიპლომატიის ასპარეზზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ

შორის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, საქართველომ უნდა განაახლოს ძალისხმევა, რომ ეფექტიანობა დაუბრუნდეს კონფლიქტების მოგვარების პროცესს.

21. უსაფრთხოების პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?*

სახელმწიფო უსაფრთხოების მთავარი წინაპირობაა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, რაც გაანეიტრალებს შიდაპოლიტიკურ დაძაბულობას, პოზიტიურად იმოქმედებს საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტული მიმართულებებია, აგრეთვე, სოციალური პრობლემების განეიტრალება, უმუშევრობის მკვეთრი შემცირება და ევროპული სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკა უმცირესობების მიმართ. უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების მექნიზმების შექმნის, დეოკუპაციისა და კონფლიქტების მოგვარების საფუძვლის მოსამზადებლად აუცილებელია მოლაპარაკებების პროცესის დაწყება როგორც რუსეთთან, ისე, სეპარატისტულ რეგიონებთან. პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ფინანსურად და მატერიალურად უზრუნველყოფილი, დეპოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურების, სამხედრო ძალებისა და მათი მაღალორგანიზებული რეზერვის ჩამოყალიბებას.

გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით (მაგალითად: თავდაცვა - 25%, ჯანდაცვა - 25%, სოციალური სფერო - 25%, განათლება - 15%, სხვა - 10% და ა შ., სადაც კატეგორიაში "სხვა" მხოლოდ 3%-ზე ნაკლები მოცულობის მიმართულებები მოხვდება.

ადმინისტრაციული ხარჯები (არა უმეტეს 8%-სა)
თავდაცვა – 10%-ის ფარგლებში.
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – არა უმეტეს 10%-ისა.
ჯანდაცვა –12%-ის ფარგლებში
სოციალური სფერო –25%
განათლება –10%
სოფლის მეურნეობა – 8%
ინფრასტრუქტურა – 8%
კულტურა – 3%
გარემოს დაცვა – 4%
სარეზერვო ფონდი – 2%